



საჩუქრადგანთ წერიდი

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

სარეკომენდაციო წერილი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2022 წლის
31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო
პერიოდის ნაერთი (კონსოლიდირებული)
ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ანგარიში

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ არჩილ ჩიქოვანს

ბატონო არჩილ,

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის მომზადებული ნაერთი (კონსოლიდირებული) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, შედეგად გაიცა პირობითი დასკვნა.

აუდიტი ჩატარდა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად.

აუდიტის შედეგად გამოვლენილი ნაკლოვანებების საპასუხოდ, წარმოგიდგენთ ჩვენს რეკომენდაციებს და ხელმძღვანელობისთვის მნიშვნელოვან სხვა ინფორმაციას.

მიმდინარე აუდიტის ფარგლებში გაცემულ რეკომენდაციებზე რეაგირების შედეგები ასახული იქნება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის სისტემაში – ARIS (www.aris.sao.ge).

პატივისცემით,

ზაზა შეყილაძე

საქართველოს გენერალური აუდიტორის
მოადგილე

შინაარსი

ტერმინები და შემოკლებები	2
1. რეკომენდაციები	3
2. ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული კორექტირებები	10
3. კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამობის საკითხები	12
4. საკონტაქტო ინფორმაცია	14

1. ტერმინები და შემოკლებები

მერია – ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

საბიუჯეტო ორგანიზაცია – ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაცია.

სსზსს – საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი (IPSAS).

ა(ა)იპ – არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი.

შპს – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

2. რეკომენდაციები

2.1.1. მოკლევადიანი დებიტორული დავალიანებები

აუდიტის მიგნება

მუნიციპალიტეტის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მონაწილე 14 ერთეულს მოკლევადიანი დებიტორული დავალიანებების მუხლში ერიცხება 7,784,426 ლარი. მუნიციპალიტეტის მერიის მოთხოვნების დიდი ნაწილი ხანდაზმულია. წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტის მერიას დებიტორული დავალიანების სახით 43 შემთხვევაში ერიცხება 3,027,172 ლარი, რომლებიც 2009 წლამდე პერიოდშია წარმოშობილი და რომელთა წარმოშობის მიზეზების შესახებ, დოკუმენტური მტკიცებულებები ვერ იქნა წარმოდგენილი.

მუნიციპალიტეტს ნაშთების რეალურობის დადგენის მიზნით ფინანსური მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია არ ჩატარებია, ასევე არ არის შედგენილი შედარების აქტები. აუდიტის ჯგუფის მოთხოვნის შესაბამისად, დავალიანების მქონე პირებთან გაიგზავნა წერილები, თუმცა დავალიანების შესახებ ინფორმაცია ვერ იქნა წარმოდგენილი.

მიზეზი

დებიტორული დავალიანების არასათანადო კონტროლი.

გავლენა

ფინანსური ანგარიშგების „მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებების“ მუხლში არსებული უზუსტობები.

რეკომენდაცია

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, მიზანშეწონილია, შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს ბალანსზე აღრიცხული მოთხოვნების სრულ ინვენტარიზაციას, ურთიერთშედარების აქტების გაფორმებას, დებიტორების რეალობისა და დაფარვის ალბათობის შეფასებას, ასევე დავალიანებების ამოღების პროცესის დაჩქარებასა და შესაბამისი ღონისძიებების გატარებას მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.

კომპონენტები, რომლებზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

2.1.2. აუდიტის მიგნება

მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სამართალდარღვევისათვის საჯარიმო სანქციების დაკისრება ევალება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციას. სამსახურებს შორის არასათანადო კოორდინაციის გამო, დაკისრებული ჯარიმები ბუღალტრულ აღრიცხვაში დებიტორულ დავალიანებად არ აღიარდა. აუდიტის

ჯგუფმა მერიის მუნიციპალური ინსპექციიდან გამოითხოვა ინფორმაცია 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული დავალიანების შესახებ. წარმოდგენილი ინფორმაციით, 2022 წელს სამშენებლო წესების და სხვადასხვა სამართალდარღვევასთან დაკავშირებით დარიცხული საჯარიმო სანქციებიდან, გადაუხდელია 1,097,802 ლარი, რაც არ არის აღრიცხული მუნიციპალური ინსპექციის და შესაბამისად, მუნიციპალიტეტის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

მიზეზი

მუნიციპალიტეტის იურიდიულ პირებს შორის არასათანადო კომუნიკაცია.

გავლენა

ფინანსური ანგარიშგების „მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებების“ მუხლის არასწორი წარდგენა.

რეკომენდაცია

მიზანშეწონილია, შეიქმნას კონტროლის მექანიზმი რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის იურიდიულ პირებს შორის კოორდინირებულ ურთიერთობას, რაც გულისხმობს ქალაქ ბათუმის საფინანსო სამსახურისთვის ფინანსური ინფორმაციის (მონაცემების) სრულ და დროულ მიწოდებას. აღნიშნული ხელს შეუწყობს ფინანსური ანგარიშგების უტყუარ და სამართლიან წარდგენას.

კომპონენტი, რომელზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია;
ა(ა)იპ – ბათუმის მუნიციპალური ინსპექცია.

2.2 გრძელვადიანი ფინანსური აქტივები

აუდიტის მიგნება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული 11 ერთეული შეზღუდული შესაძლებლობის საზოგადოებიდან, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში „გრძელვადიანი ფინანსური აქტივების“ ანგარიშზე აღრიცხულია მუნიციპალიტეტის წილი მხოლოდ 4 სტრუქტურაში. შესაბამისად, აღურიცხველია 7 კომერციულ ერთეულში არსებული წილები, რომლებიც წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯამურად 32,156,237 ლარს შეადგენს.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში „ინვესტიციები წილობრივი ინსტრუმენტების“ მუხლში თავდაპირველად აღრიცხული თანხა არ არის შეცვლილი იურიდიული პირების საქმიანობის წლიური ფინანსური შედეგების გათვალისწინებით.

შედეგად, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში „გრძელვადიანი ფინანსური აქტივების“ ანგარიშზე აღრიცხული აქტივები 32,156,237 ლარით შემცირებულად არის წარმოდგენილი. ამასთანავე, არაზუსტადაა აღრიცხული მუნიციპალიტეტის წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების ფინანსური აქტივები.

მიზეზი	აქტივების მართვაში არსებული ხარვეზები.
გავლენა	ფინანსური ანგარიშგების „გრძელვადიანი ფინანსური აქტივების“ მუხლში არსებული უზუსტობები.
რეკომენდაცია	მუნიციპალიტეტის მერიამ განიხილოს კომპანიებში არსებული წილების ერთჯერადად სამართლიანი ღირებულებით შეფასების საკითხი, წინა წლებში არსებული თანხობრივი, ქონებრივი და წილობრივი შენატანების გათვალისწინებით, ხოლო შემდგომ გაითვალისწინოს კაპიტალ-მეთოდის მოთხოვნები.
კომპონენტი, რომელზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

2.3 საინვესტიციო ქონება

აუდიტის მიგნება	მუნიციპალიტეტში არ არის შესრულებული მოთხოვნები იჯარით გაცემული ქონების აღრიცხვასთან დაკავშირებით. კერძოდ, იჯარით გაცემული ქონება ბუღალტრულად არ არის აღრიცხული და შესაბამისად, ის არც ფინანსურ ანგარიშგებაში ფიგურირებს. შედეგად, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში „საინვესტიციო ქონების“ მუხლი არასწორად არის წარმოდგენილი. საიჯარო ხელშეკრულებების ძირითადი ნაწილი გაფორმებულია წინა წლებში და მუნიციპალიტეტის მერიამ ვერ წარმოადგინა ინფორმაცია იჯარით გაცემული ქონების ღირებულების შესახებ. იჯარით გაცემული ქონების აღრიცხველობა, ძირითადი კაპიტალის მოხმარების მუხლის არასწორ ასახვას იწვევს, რაც, თავის მხრივ, გავლენას ახდენს (ფინანსური შედეგების ანგარიშგება) „წმინდა აქტივის/კაპიტალის“ მუხლის სისწორეზე. შესაბამისად, ვერ მივიღეთ რწმუნება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში „საინვესტიციო ქონების“ მუხლის სისწორესთან დაკავშირებით.
მიზეზი	აღრიცხვის არასათანადო პრაქტიკა, სტანდარტის მოთხოვნების შეუსრულებლობა.
გავლენა	ფინანსური ანგარიშგების „საინვესტიციო ქონების“ მუხლში არსებული უზუსტობები.
რეკომენდაცია	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, მიზანშეწონილია, შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული და იჯარით გაცემული აქტივების შესახებ სრული

ინფორმაციის მოპოვებასა და დამუშავებას, აქტივების სათანდო შეფასებასა და კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად აღრიცხვას.

**კომპონენტები, რომლებზეც
გაიცა რეკომენდაცია
შესასრულებლად**

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია;
ა(ა)იპ – ბათუმის ბოტანიკური ბაღი.

2.4 სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივები

აუდიტის მიგნება	კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ არის ასახული საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მიწის ნაკვეთები და შენობა-ნაგებობები, რომლებიც ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებად ითვლება. აღნიშნული აქტივების სარგებლობაში პირველადი გადაცემა არ განხორციელებულა და არ არის შეფასებული. მერიის ფინანსურ ანგარიშგებაში არ ირიცხება 2000 ერთეულზე მეტი მიწის ნაკვეთი და სხვა უძრავი ქონება, რომელიც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაა და არ არის შეფასებული. შესაბამისად, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში „სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების“ მუხლი არასრულადაა წარმოდგენილი.
მიზეზი	აქტივების მართვაში არსებული ხარვეზები.
გავლენა	ფინანსური ანგარიშგების „სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების“ მუხლში არსებული უზუსტობები.
რეკომენდაცია	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ, მუნიციპალიტეტის ქონებებთან დაკავშირებით გააკეთოს შესაბამისი შეფასებები, დააკლასიფიციროს და აღრიცხოს ისინი სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად.
კომპონენტები, რომლებზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

2.5 საცნობარო ანგარიშები

აუდიტის მიგნება	ა(ა)იპ – მუნიციპალური სერვისების სააგენტოს, პასუხისმგებელ შენახვაზე მიღებული მატერიალური ფასეულობების საცნობარო მუხლში, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ნაშთად ერიცხება 90,962 ლარი. მათ შორის: შპს „აჭარა ტექსტილის“ კუთვნილი მარაგები – 12,500 ლარის ღირებულებით და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით¹ გადაცემული სხვადასხვა დასახელების 78,462 ლარის ღირებულების მატერიალური ფასეულობები. ჩატარებული აუდიტორული პროცედურების შესაბამისად² გაირკვა, რომ მერის ბრძანებით გადაცემული ფასეულობები ფაქტობრივად არ არსებობს. მოპოვებული ინფორმაციის შესაბამისად, აღნიშნული აქტივები, ა(ა)იპ – ბათუმის ტურისტული ობიექტების მართვის სააგენტოს
------------------------	--

¹ 2018 წლის 30 აპრილის N1767 ბრძანება

² მოვიპოვეთ შესაბამისი დოკუმენტაცია და დათვალიერებულ იქნა მატერიალური ფასეულობები.

	ლიკვიდაციის შედეგად, ა(ა)იპ – მუნიციპალური სერვისების სააგენტოსთვის გადაცემული აქტივებია, თუმცა ზემოთ აღნიშნული 361 დასახელების 78,462 ლარის ღირებულების აქტივები ა(ა)იპ – მუნიციპალური სერვისების სააგენტოში არ არსებობს.
მიზეზი	აქტივების მართვაში არსებული ხარვეზები.
გავლენა	მატერიალური ფასეულობების დანაკლისის რისკი.
რეკომენდაცია	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ და ა(ა)იპ – მუნიციპალური სერვისების სააგენტომ უზრუნველყოს სააგენტოსთვის გადაცემულ აქტივების მოძიება და კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად აღრიცხვა. დანაკლისების გამოვლენის შემთხვევაში მოახდინოს შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება.
კომპონენტები, რომლებზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია; ა(ა)იპ – მუნიციპალური სერვისების სააგენტო.

2.6 ინვენტარიზაცია

აუდიტის მიგნება	ინვენტარიზაცია არის კონტროლის მექანიზმი, რომლის მიზანია დანაკლისის, ზედმეტობისა და დაზიანებული ან/და გამოუსადეგარი აქტივების იდენტიფიცირება. შესაბამისად, ინვენტარიზაციის ჩატარება მნიშვნელოვანია იმაში დასარწმუნებლად, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ყველა აქტივი და ვალდებულება რეალურად არსებობს და ამასთანავე, ორგანიზაციის მფლობელობაში არსებული ყველა აქტივი სრულად არის ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ორგანიზაციებში 2022 წელს სრული ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა, კერძოდ: - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში ინვენტარიზაცია ჩატარდა მხოლოდ ადმინისტრაციული დანიშნულების, 999,465 ლარის ნარჩენი საბალანსო ღირებულების მოძრავ ქონებას, რაც მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე რიცხული ძირითადი აქტივების 0,09%-ს შეადგენს; - მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ასევე არ ჩატარებულა იმ უძრავი ქონების ინვენტარიზაცია, რომელიც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, მუნიციპალიტეტის საკუთრებას წარმოადგენს; - 2022 წელს არცერთ საბიუჯეტო ორგანიზაციაში არ ჩატარებულა მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია; - აუდიტის ჯგუფმა ადგილზე შეამოწმა ა(ა)იპ – ბათუმის კულტურის ცენტრის ბალანსზე რიცხული აქტივების ფიზიკური მდგომარეობა. აღმოჩნდა, რომ არ არის უზრუნველყოფილი აქტივების დაზიანებისგან დაცვისა და შენახვის პირობები, რაც მნიშვნელოვნად განაპირობებს მათ მწყობრიდან გამოსვლას.
-----------------	---

	ზემოაღნიშნული – შიდა კონტროლის სისტემის სისუსტესა და ფინანსური/არაფინანსური აქტივების მართვაში არსებულ ნაკლოვანებებზე მიუთითებს.
მიზეზი	შიდა კონტროლის სისტემის სისუსტე; ფინანსური/არაფინანსური აქტივების მართვაში არსებული ნაკლოვანებები.
გავლენა	ინვენტარიზაცია არის კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს დანაკლისის, ზედმეტობისა და დაზიანებული ან/და გამოუსადეგარი აქტივების იდენტიფიცირებას.
რეკომენდაცია	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, საბიუჯეტო ორგანიზაციების ხელმძღვანელობამ, მარეგულირებელი ნორმების საფუძველზე, უზრუნველყოს ორგანიზაციის ბალანსზე აღრიცხული უძრავი ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების სრული ინვენტარიზაციის ჩატარება, შედეგების შეფასება და ბუღალტრული აღრიცხვა.
კომპონენტები, რომლებზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია; ა(ა)იპ – საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო; ა(ა)იპ – მუნიციპალური სერვისების სააგენტო; ა(ა)იპ – ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დეველპმენტების სამსახური; ა(ა)იპ – ბათუმის ბოტანიკური ბაღი; ა(ა)იპ – ბათუმის მუნიციპალური ინსპექცია; ა(ა)იპ – ბათუმის სოციალური სერვისების სააგენტო; ა(ა)იპ – ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება; ა(ა)იპ – ბათუმის სასაფლაოები; ა(ა)იპ – აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა; ა(ა)იპ – ბათუმის კულტურის ცენტრი; ა(ა)იპ – ბათუმის სპორტული ცენტრი; ა(ა)იპ – ბათუმის საცხენოსნო კლუბი; ა(ა)იპ – საჭადრაკო კლუბი „ნონა“.

3. ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული კორექტირებები

3.1 შიდა ჯგუფური ოპერაციები

აუდიტის მიგნება

მუნიციპალიტეტის მიერ წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არასწორად არის განხორციელებული ელიმინირების პროცესი. კერძოდ: ა(ა)იპ – საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველოს მიერ მუნიციპალიტეტის მერიაზე გადაცემულ სასაქონლო გრანტებში არ არის ასახული 3 დასახელების, 59,170 ლარის ღირებულების ძირითადი აქტივი, თუმცა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, აღნიშნული ოპერაცია ელიმინირებულია. შედეგად, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში გრანტის სახით მიღებული შემოსავალი 59,170 ლარით შემცირებულად არის წარმოდგენილი.

კომპონენტი, სადაც
გამოვლინდა დარღვევა

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

3.2 დაუმთავრებელი და გასაყიდად გამიზნული/ გადასაცემი აქტივები

აუდიტის მიგნება

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების სახით რიცხული 713,521,644 ლარიდან, 698,635,912 ლარი დაუმთავრებელი წარმოების ნაშთია, რომელთაგან 695,847,084 ლარის აქტივი ფაქტობრივად დასრულებულია და შესულია ექსპლუატაციაში, თუმცა მათი შესაბამის მუხლებში გადატანა არ მომხდარა. დაუმთავრებელი წარმოების მუხლში აღრიცხვის გამო, აღნიშნულ აქტივებს არ ერიცხებათ ცვეთის ხარჯი. შესაბამისად, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში „სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივის“ მუხლი 695,847,084 ლარით გაზრდილად არის წარმოდგენილი.

კომპონენტი, სადაც
გამოვლინდა დარღვევა

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

3.3. აუდიტის მიგნება

ა(ა)იპ – ბათუმის სასაფლაოების ბალანსზე ძირითადი აქტივების მუხლით ირიცხება დაბა ჩაქვში ახალი სასაფლაო, რომლის ღირებულება მშენებლობისათვის საჭირო მომსახურების³ გათვალისწინებით, 3,423,947 ლარს შეადგენს. სასაფლაოს დანიშნულებით გამოყენება ვერ ხერხდება, თუმცა ცვეთის ხარჯი მაინც

³ საპროექტო, ექსპერტიზისა და ზედამხედველობის მომსახურებები.

დარიცხულია და ის 2022 წლის ცვეთის გათვალისწინებით 624,465 ლარს შეადგენს.

შესაბამისად, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში „სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივის“ მუხლი 3,423,947 ლარით შემცირებულად არის წარმოდგენილი.

კომპონენტი, სადაც
გამოვლინდა დარღვევა

ა(ა)იპ – ბათუმის სასაფლაოები.

3.4 განმარტებითი შენიშვნები

აუდიტის მიგნება

მუნიციპალიტეტის 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში არ არის ასახული მუნიციპალიტეტის ყველა სტრუქტურული ერთეულის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნების შესაბამისი სრული ინფორმაცია. კერძოდ, ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის პრინციპიდან გამომდინარე, ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში წარდგენილი უნდა იყოს სასამართლო დავების შესახებ ინფორმაცია ან საჭიროების შემთხვევაში უნდა აღირიცხოს შესაბამის მუხლში. მუნიციპალიტეტის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის სტრუქტურაში შემავალი ყველა ერთეულის მიმდინარე სასამართლო დავების შესახებ.

კომპონენტი, სადაც
გამოვლინდა დარღვევა

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის სტრუქტურაში შემავალი ყველა ერთეულის მიმდინარე სასამართლო დავების შესახებ.

4. კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის საკითხები

4.1 ადამიანური რესურსების მართვა

აუდიტის მიგნება

2022 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანახმად,⁴ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრულ საბიუჯეტო ორგანიზაციებში ხელფასის სახით დარიცხულია 37,037,866 ლარი, საიდანაც სამტატო ნუსხით განსაზღვრული პირების „შრომის ანაზღაურების“ ხარჯია 29,886,266 ლარი, ხოლო შტატგარეშეთა ანაზღაურების ხარჯი – 7,151,600 ლარი.

სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმა არის დასაქმებულთა სამუშაო დროის (ნამუშევარი საათების) აღრიცხვის ყოველთვიური დოკუმენტი, რომელიც მოიცავს წერილობით ან/და ელექტრონული ფორმით აღრიცხულ მონაცემებს დასაქმებულთა მიერ ნამუშევარი საათების შესახებ.⁵

მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო დაწესებულებებში დასაქმებულთა მიერ მიღებული თანამდებობრივი სარგოს და ფაქტობრივად ნამუშევარი დროის შესაბამისობის დადგენის მიზნით დანერგილი კონტროლის მექანიზმები არ ფუნქციონირებდა. კერძოდ, საანგარიშო პერიოდში თანამშრომელთა სამსახურში გამოცხადება და მიმოსვლა არ აღირიცხებოდა.

ჩატარებული აუდიტორული პროცედურების შედეგად გამოვლინდა, რომ ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემაში, საბიუჯეტო სახსრების გადარიცხვისთვის საჭირო მონაცემების-საბანკო ანგარიშების არასწორად მითითების შედეგად, რიგი თანამშრომლების ხელფასები, სულ 4,917 ლარი,⁶ არასწორად გადაერიცხათ სხვა თანამშრომლებს. წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, არასწორად გადარიცხული ხელფასები თანამშრომლებს შორის პირადი ანგარიშსწორებით დარეგულირდა, თუმცა აღნიშნულის დოკუმენტური დადასტურება აუდიტის მიმდინარეობის პერიოდში ვერ იქნა წარმოდგენილი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის მიერ ნამუშევარი დროის აღრიცხვისა და სახელფასო თანხების დანიშნულებისამებრ გამოყენების მიმართულებით არსებული ხარვეზები შრომის ანაზღაურებასთან მიმართებით არსებული კონტროლის მექანიზმების ნაკლოვანებებზე მიუთითებს.

კომპონენტები, სადაც

გამოვლინდა დარღვევა

ა(ა)იპ – ბათუმის სპორტული ცენტრი;

ა(ა)იპ – ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანების სააგენტო;

⁴ შენიშვნა N17 - დარიცხული ხარჯები, გრანტები და სუბსიდიები.

⁵ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 12 თებერვლის N01-15/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სამუშაო დროის აღრიცხვის წესი“, მუხლი 1, პუნქტი 2.

⁶ ა(ა)იპ – ბათუმის სპორტული ცენტრი - 1034 ლარი, ა(ა)იპ – ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანების სააგენტო - 3091 ლარი, ა(ა)იპ – მუნიციპალური სერვისების სააგენტო - 792 ლარი.

4.2 ტრანსპორტის ხარჯები

აუდიტის მიგნება

2022 წელს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო დაწესებულებების ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის საკასო ხარჯებმა შეადგინა 1,027,691 ლარი. მუნიციპალიტეტში ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე 2022 წელს ჯამში გახარჯულია 588,052 ლარის საწვავი, მათ შორის, ბალანსზე რიცხულ 83 ერთეულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე გაიხარჯა 469,407 ლარის საწვავი, ხოლო საჯარო მოხელეების პირად საკუთრებაში არსებულ 70 ერთეულ ავტოსატრანსპორტზე – 118,645 ლარის საწვავი. ტრანსპორტთან დაკავშირებული დანახარჯების ანალიზი ცხადყოფს, რომ არასათანადო კონტროლია დაწესებული მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ების სარგებლობაში არსებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე გამოყოფილი საწვავის ხარჯვის საკითხზე. აღნიშნულთან დაკავშირებით ვერ იქნა წარმოდგენილი გაცემული საწვავის სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისათვის ხარჯვის სრული დოკუმენტური დადასტურება. მიზანშეწონილია, ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე გამოყოფილი საწვავის ხარჯვის საკითხზე, მუნიციპალიტეტმა შეიმუშაოს ტრანსპორტის მართვასთან დაკავშირებით ერთიანი მიდგომა და ოპტიმიზაციის გეგმა.

კომპონენტი, სადაც გამოვლინდა დარღვევა

ა(ა)იპ – ბათუმის მუნიციპალური სერვისების სააგენტო;

ა(ა)იპ – ბათუმის საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო;

ა(ა)იპ – ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება;

ა(ა)იპ – ბათუმის სპორტული ცენტრი.

5 საკონტაქტო ინფორმაცია

გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის პროცესზე პასუხისმგებელ პირი	გოჩა შარაბიძე ჯგუფის უფროსი ელფოსტის მისამართი: gsharabidze@sao.ge
სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის სისტემა	https://aris.sao.ge/
ვებგვერდი და სოციალური მედია	https://www.sao.ge/ https://www.budgetmonitor.ge/ka http://www.blog.sao.ge/ http://www.sai.ge/main/ https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/ https://www.youtube.com/user/saogeorgia https://www.facebook.com/www.sao.ge
ცხელი ხაზი	(+995 32) 243 81 81
ელექტრონული ფოსტა	sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38

SAO.GE